მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით ეწყობა

# სტუდენტური დებატები

## თემაზე: სამართლიანი არჩევნების როლი დემოკრატიული განვითარების პროცესში



სტუდენტური დებატები ჩატარდება საქართველოს ხუთ საუნივერსიტეტო ქალაქში: ახალციხე, ბათუმი, თბილისი, თელავი, ქუთაისი. ყოველ ქალაქში გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი, რომლის წევრებს დააჯილდოვებენ და მიიწვევენ საზაფხულო სკოლაში 2013 წლის აგვისტოში.

დებატებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის სტუდენტებს.

### სტუდენტური დებატების მიზნები:

- სტუდენტებს შორის არჩევნების თემაზე მსჯელობის წახალისება;
- სამოქალაქო მონაწილეობისა და არგუმენტირებული საჯარო დისკუსიის პოპულარიზაცია;
- ახალგაზრდებში არგუმენტირებული დისკუსიის უნარ-ჩვევების განვითარება.

### სტუდენტური დებატების ვადები:

5 - 30 მაისი - სტუდენტური გუნდების დარეგისტრირება;
1 - 20 ივნისი - საუნივერსიტეტო ქალაქებში დებატების ჩატარება;
5 - 11 აგვისტო - საზაფხულო სკოლა გამარჯვებული გუნდების წევრებისთვის.

### სტუდენტური დებატების პირობები:

- დებატებში მონაწილე უნდა იყოს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის სტუდენტი;
- მონაწილე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

### სტუდენტური დებატების წესები:

- დებატები ტარდება პოპერის მეთოდით;
- ყოველი გუნდი შედგება სამი წევრისაგან;
- გუნდი უნდა დარეგისტრირდეს 5-დან 30 მაისამდე;
- დარეგისტრირებისათვის გუნდის კაპიტანმა keti@participate.ge -ზე უნდა გამოაგზავნოს:

1. ქალაქი,
2. უნივერსიტეტის დასახელება,
3. გუნდის დასახელება,
4. გუნდის წევრების სახელი, გვარი, ფაკულტეტი და კურსი,
5. გუნდის წევრების საკონტაქტო ინფირმაცია: მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა;

- რეგისტრაციის წერილის სათაურში მითითებული უნდა იყოს: სტუდენტური დებატები - 2013/Student Debates 2013;
- ყველა დარეგისტრირებული გუნდი მიიღებს საინფორმაციო ბუკლეტს სტუდენტური დებატების და კონკურსის წესების დეტალური აღწერით;
- დასახელებული ქალაქების დებატების ფინალში გასული ორი გუნდის წევრები დაჯილდოვდებიან. გამარჯვებულებს კი მიიწვევენ 5-დღიან საზაფხულო სკოლაში: სამოქალაქო მონაწილეობა და არგუმენტირებული საჯარო დებატები. საზაფხულო სკოლა ჩატარდება აგვისტოს პირველ ნახევარში ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.
- საზაფხულო სკოლის დასასრულს მოეწყობა დებატები მონაწილე გუნდებს შორის და გამოვლინდება გამარჯვებული.

სტუდენტური დებატების პარალელურად ჩატარდება ბლოგების კონკურსი. კონკურსი ღიაა საქართველოში რეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის ყველა სტუდენტისთვის. საკონკურსო ბლოგების ზოგადი თემებია:

*სამართლიანი არჩევნები დემოკრატიული განვითარების პროცესში;*

*არგუმენტირებული დებატების მნიშვნელობა საჯარო დისკუსიაში;*

*პოლიტიკური არჩევანის გაკეთების წინაპირობები.*

შესაძლებელია ზოგადი თემების დავიწროება და ამ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემატიკის გამოვლენა.

კონკურსში მონაწილე სტუდენტმა ბლოგი უნდა გამოაგზავნოს მისამართზე: keti@participate.ge ან nino@participate.ge და წერილში მიუთითოს ბლოგის ავტორის: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. ბლოგის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს. ბლოგების გამოგზავნა შესაძლებელია 5 მაისიდან 20 ივლისის ჩათვლით. ბლოგები გამოქვეყნდება კავკასიური ინსტიტუტის საიტებზე და facebook-ის გვერდებზე. ივლისის ბოლოს ჟიური გამოავლენს და დააჯილდოვებს გამარჯვებული 3 ბლოგის ავტორს.



დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ keti@participate.ge

დებატების შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.participare.ge ან www.cipdd.org

სტუდენტური დებატები და ბლოგების კონკურსი ტარდება ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით.